სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლაშა თავართქილაძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

ირაკლი ბონდარენკო
თარიღი: 14.04.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ლაშა თავართქილაძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულების (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შეევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა. რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ ლაშა თავართქილაძის შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული), სპეციალობით მუშაობის 23 წელი, მათ შორის, მოსამართლედ მუშაობის თითქმის 11 წლიანი გამოცდილება. ამჟამად, ლაშა თავართქილაძე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს; სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

1.1. **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის** მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე პირის როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – კეთილსინდისიერება, პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი

დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

ლაშა თავართქილაძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ მას აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, იჩენს კორექტულობას და სიზუსტეს მასზედ დაკისრებული მოვალეობების თუ სხვა ვალდებულებების შესასრულებლად. გარდა ამისა ახასიათებენ როგორც კეთილსინდისიერ, პატიოსან ადამიანს. არის მეტად პრინციპული, გულწრფელი, ერთგული, თავმდაბალი და საიმედო, აქვს საკუთარი შეცდომების აღიარების უნარი. არის კორექტული, თავაზიანი და გაწონასწორებული.

გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხები, თუმცა ვადაგადაცილებები არ უფიქსირდება. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

ლაშა თავართქილაძეს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით კანდიდატს უფიქსირდება სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმა გადახდილია დროულად.

1. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით კანდიდატი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად, იგი არ ექცევა სხვათა ზეგავლენის ქვეშ, უფრთხილდება მართლმსაჯულების პრესტიჟს და იქცევა სასამართლო ავტორიტეტის და მოსამართლის თანამდებობისათვის შესაფერისად. კანდიდატი მოქმედი მოსამართლეა და სამოსამართლო ვალდებულებებს ასრულებს წინასწარი კეთილგანწყობის და წინასწარ შექმნილი აზრის გარეშე, მისი ქცევები შეესაბამება მოსამართლის მაღალი ქცევის სტანდარტს.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

1.3. **პიროვნული და პროფესიული ქცევის** მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არ არსებობა, სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას და სხვა. აგრეთვე, საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება.

კანდიდატი სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილია დაზარალებულად 2018 წლის 29 ივნისს (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ლაშა თავართქილაძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე საქმისწარმოების ელექტრონული საძიებო სისტემის მეშვეობით მოძიებული იქნა ერთი ადმინისტრაციული საქმე: საჩივრის ავტორი: ლაშა თავართქილაძე;

მოპასუხე მხარე: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

შედეგი - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა.

კოლეგების შეფასებით, ლაშა თავართქილაძე გაწონასწორებული და მობილიზებული ადამიანია, მეტად თავაზიანი და ტაქტიანი. სასამართლო განხილვის მსვლელობისას იცავს წესრიგს და ეტიკეტს, მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა მიმართ; არ ექცევა სხვების გავლენის ქვეშ.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე იურიდიულ წრეებში. მას გააჩნია იურიდიულ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, გააჩნია კარგი ავტორიტეტი ამ სფეროში მოღვაწე მასთან პროფესიულ ურთიერთობაში მყოფ პირებში.

ლაშა თავართქილაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია.

მოწოდებული ინფორმაციით, კანდიდატს იცნობენ, როგორც მაღალი მორალური ღირსებების მქონე ადამიანს და ექცევიან დიდი პატივისცემით.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.

1.5.ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ლაშა თავართქილაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი,

სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ლაშა თავართქილაძე **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით. კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა კარგად იცის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი, ასევე უნარი მოიძიოს და ადეკვატურად გამოიყენოს ის შიდა და საერთაშორისო ნორმა თუ სასამართლოს პრეცედენტი, რომელიც შეეხება მსგავს სამართლებრივ ფაქტს.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. შეკითხვები დაისვა სამოქალაქო სამართლის როგორც საპროცესო ისე მატერიალური ნაწილის სფეროდან. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა დასმულ საკითხებზე. ისაუბრა საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის დანაწესზე. საკასაციო გადაწყვეტილების სავალდებულოობაზე. აბსოლუტურ უფლებებზე და სხვა. ყველა მათგანზე განავითარა საინტერესო მსჯელობა და გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ ლაშა თავართქილაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის, ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდები:

- ✓ ლაშა თავართქილაძემ 2002 წელს გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კურსი და 2003 წელს ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა;

- ✓ 2003 წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
- ✓ 2006 წელს ჩააბარა ნოტარიუსობის საკვალიფიკაციო გამოცდა;
- ✓ 2006 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით;
- ✓ 2007 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მიითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა. მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში ლაშა თავართქილაძის მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის მართებულად განმარტების უნარი. ასევე გააჩნია იმის კომპეტენცია, რომ განსაზღვროს მთავარი სამართლებრივი საკითხები და გვერდი არ აუაროს გადაწყვეტილების მიღებისას. შეუძლია ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავის აზრი, შეუსაბამოს იგი დადგენილ ფაქტებს და მიიღოს საფუძვლიანი გადაწყვეტილება თავისი შინაგანი რწმენით. დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას, რაშიც ეხმარება სასამართლოში მრავალწლიანი გამოცდილება. ჩამოყალიბებული აქვს სწორი ანალიტიკური და სამართლებრივი აზროვნების უნარი. გადაწყვეტილების დასაბუთებისას იშველიებს როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებებს, ისე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას. მას აქვს თითქმის 11 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

ძირითადად დასმულ შეკითხვებს პასუხობდა შესაბამისად და მისაღებად თუმცა მისი პასუხები არ იყო ამომწურავი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის თავისებურებებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, ლაშა თავართქილაძეს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.3. წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

როგორც რესპოდენტები უთითებენ კანდიდატს ნათლად და გასაგებად შეუძლია საკუთარი მოსაზრების გადმოცემა. აქვს სამართლებრივი ლექსიკის ადეკვატურად გამოყენების უნარი. შეუძლია ლოგიკურად მსჯელობა და აზრის გასაგებად, ლაკონიურად და დამაჯერებლად გადმოცემა. ცდილობს ყოველი ახალი გადაწყვეტილება იყოს მეტად დასაბუთებული და მხარისათვის გასაგები ენით გადმოცემული.

შესწავლილ იქნა კანდიდატის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ შესწევს სამართლებრივი პოზიციის დასაბუთებისას აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

გამოკითხული პირები უთითებენ, რომ ლაშა თავართქილაძეს პროცესის მონაწილეებთან კომპეტენტური და კონსტრუქციული საუბრის საჭიროების შემთხვევაში, გააჩნია სათანადოდ დამოწმებული განმარტების მიცემის უნარი, სხვებთან ზოგადად კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მოსმენისა და კამათის კულტურა, ღიაობა, კამათის დროს თავისი პოზიციის სიმტკიცისა და დამაჯერებლად შენარჩუნების უნარი. იურიდიული განათლების არმქონე პირებისათვის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გასაგებად ახსნის უნარი.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესში გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის, ანალიზის და გათვალისწინების უნარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **15 ქულიდან 13 ქულა.**

2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა.

როგორც რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ მას გააჩნია სამუშაო განრიგის ეფექტიანი დაგეგმვის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი, შეუძლია საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება. დროისა და რესურსის სწორად გადანაწილება და მათი ოპტიმალური გამოყენება. აქვს გუნდის მართვის უნარი, მათ შორის თანაშემწისა და სხდომის მდივნის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის, შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული ქმედითი თანამშრომლობის უნარი. კონფლიქტურ სიტუაციაში დაძაბულობის განეიტრალების და სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის უზრუნველყოფის უნარი. კანდიდატს გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, გამოირჩევა საქმისადმი ერთგულებით. არის მეტად შრომისმოყვარე. გააჩნია რთულ სტრესულ სიტუაციაში ვითარების მართვის უნარი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ლაშა თავართქილაძეს საანგარიშო პერიოდში (978 დღე) დასრულებული აქვს 575 საქმე, დღეში საშუალოდ 0,6 საქმე. კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - 68,2%; ვადის დარღვევით - 31,8%; საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - 84,3%; ვადის დარღვევით - 15,7%; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 88,1%; შეცვლილი - 11,9%.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს განსაზღვრული მაქსიმალური **15 ქულიდან 14 ქულით.**

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

ლაშა თავართქილაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორისაა:

- ✓ 2022 წლის 29 ივლისი - 1 აგვისტო, ბათუმი, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სემინარი - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები";
- ✓ 2022 წლის 11-12 ნოემბერი, ქ. ბორჯომი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU), ევროკავშირის საერთო სასამართლოსა (GCEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს (EUIPO BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შედგენილი კრებულის პრეზენტაცია;
- ✓ 2022 წლის 1 და 3 დეკემბერი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის" (BRIPA) მიერ გადახდისუუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა;
- ✓ 2023 წლის 11-12 თებერვალი, ყვარელი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ერთობლივად გამართული სამუშაო შეხვედრა - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით";
- ✓ 2023 წლის 14-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები";
- ✓ 2024 წლის 30 ნოემბერი - 01 დეკემბერი, თბილისი, გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ტრენინგი - „ლტოლვილთა სამართალი" და სხვა.

კანდიდატი ფლობს გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მეათე ჯგუფის მსმენელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **5 ქულიდან 3 ქულა.**

2.7. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად და თავისუფლად. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ინტერესი. არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას,

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატი უნდა შეფასდეს მაქსიმალური **5 ქულიდან 3 ქულით.**

<u>კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:</u>

ლაშა თავართქილაძე **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **87 ქულით,** რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის **(100 ქულა) 87%** შეადგენს.

ირაკლი ბონდარენკო

14.04.2025 წელი